პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი № 136 (10833) | სამშაბათი, 11 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

სოციალისტურ შეჯიბრებას — ოპერატიული ხელმძღვანელობა

დღითიდღე ძლიერდება და თანდათან უფრო მასობრივი ხდება სახალხო შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მაღალი საწარმოო მიღწევების მოპოვებისათვის, ტექნიკური პროგრესის ახალი მწვერვალების დაპყრობისათვის.

დაუცხრომელი შრომითი ენთუზიაზმით აღსავსე საბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის, რათა უმოკლეს ვადაში განახორციელოს თავისი ხელმძღვანელისა და მეგრძოშის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული მნიშვნელობის დავალება — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის გადაწყვეტაში თავისი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებსაც.

ჭიათურელმა მაღაროელთა მოწინავე კოლექტივებმა მაისში შესანიშნავად იმუშავეს, გეგმის გადამეტებით მრავალი ათასი ტონა მარგანეცის მადანი მოგვცეს. რიტმულად, მაღალნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას ტყიბულელი მეშახტეები. მათმა ახალციხელმა თანამომეებმა, რომლებიც რესპუბლიკას ენერგეტიკული ქვანახშირით ამარაგებენ, ექვსი თვის გეგმა 40 დღით ადრე გაანაღდეს. ასევე წარმატებით მუშაობენ ლეჩხუმელი ბარიტის მომპოვებლები, კვაისელი მაღაროელები, თბილისელი, ქუთაისელი და ბათუმელი მანქანათმშენებლები, შორაპანელი, რავთლუღელი და ხაშურელი რკინიგზელები.

რუსთავის მეტალურგებმა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებები უკვე გაანაღდეს. მაგალითად, 7 ნოემბრისათვის მათ გეგმის გადამეტებით უნდა გამოეშვათ 1.200 ტონა კოქსი, 3.500 ტონა ფოლადი, 4.000 ტონა მზა ნაგლინი და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მოეცათ 3.500 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ეს ვალდებულებები მეტალურგმა მეკოქსეებმა, მგლინავებმა და მეფოლადეებმა უკვე 5 თვეში და ისიც საგრძნობი გადაჭარბებით გაანაღდეს.

მაგრამ ამავე დროს ჩამორჩნენ მებრძოლეები თუჯის გამოშვებაში და წვრილსორტული დგანების მომსახურე კოლექტივები — წვრილსორტული ნაგლინის გამოშვებაში. გარდა ისეთი მიზეზებისა, როგორიც არის ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევასთან შერიგება, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების გამოუყენებლობა, კერძოდ, ბრძმედების გადაყვანა საკერძის ქვეშ მაღალ წნევაზე, ჩამორჩენის მიზეზია აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრებისადმი სუსტი ხელმძღვანელობა.

რუსთავის მებრძმედეებზე უარესად ჰქონდათ საქმე თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში, მაგრამ ახლა ეს ქარხანა კარგად მუშაობს, თანმიმდევრობით და განუხრელად აუმჯობესებს საწარმოო მაჩვენებლებს. ეს მიღწეულ იქნა კოლექტივის დარაზმვით, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების საერთო საკუთრებად გადაქცევით, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებით და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით.

სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი საბეურნეო მუშაობის ნაცადი მეთოდია. ეს ის საუკეთესო იარაღია, რომლითაც შეიძლება დავძლიოთ ყველა და ყოველგვარი დაბრკოლება საწარმოს ცხოვრებაში. მაგრამ ყოველ სიტუაციაში, ყოველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა ამ იარაღის — სოციალისტური შეჯიბრების მეთოდის ისე გამოყენება, როგორც ამას საქმის ინტერესი მოითხოვს. როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს მეთოდი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს სავსებით დამოკიდებულია ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, მათ ხელმძღვანელთა უნარზე. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციაზე, მისდამი ხელმძღვანელობის სრულყოფაზე ლაპარაკი, თუ მოწესრიგებული არ არის შეჯიბრებაში ჩაბმულთა მუშაობის შედეგების სისტემატური აღრიცხვა, ამ შედეგების საჯაროობა, თუ უზრუნველყოფილი არ არის ოპერატიული ხელმძღვანელობა, კოლექტივის საწარმოო აქტივობის წარმართვა საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის პროცესში წამოჭრილ დაბრკოლებათა დასაძლევად.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ხორციელდება დიდი ღონისძიებები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელებით კიდევ უფრო გაძლიერდება ჩვენი მრეწველობის განვითარება, საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ტემპი.

ამიტომ ახლა, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის პერიოდში, სოციალისტური შეჯიბრებისადმი კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას მუშაობის ყველა უბანზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორ უნდა ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ მასებს, როგორ წარვმართოთ მათი შრომითი აქტივობა საწარმოს წინაშე დასახული დიდი ამოცანების გადასაჭრელად, გვაძლევს თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის პროფკავშირული ორგანიზაცია (საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ტ. გაწერელია). აქ კარგად არის მოწყობილი როგორც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა საწარმოო მაჩვენებლების აღრიცხვა, ისე მიღწეული შედეგების საჯაროობა და მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციის, მასობრივად გავრცელების საქმე. ეს დიდად უწყობს ხელს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. საკმარისია ითქვას, რომ ამ ფაბრიკის კოლექტივმა წელს განვლილ 5 თვეში დაზოგილი ნედლეულისაგან შეკერა და გეგმის გადამეტებით 49 ათასი წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა, დიდად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და შეამცირა თვითღირებულება.

შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში დიდი როლი აკისრიათ პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი მე-40 წლისთავისათვის მზადების პერიოდი, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის რეორგანიზაციის პერიოდი საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელი რესპუბლიკური კომიტეტების გამოცდის, მათი მუშაობის შეფასების პერიოდიც არის. ამ გამოცდას ჩვენი პროფაქტივისტები და მათი ხელმძღვანელები მით უფრო კარგათ ჩაბარებენ, რაც უფრო მოქნილად და ოპერატიულად უხელმძღვანელებენ მასებს ახალი საწარმოო მიღწევებისათვის ბრძოლაში.

ახალი ჟურნალი „სოვრემენნი ვოსტოკ“

ამა წლის ივლისში გამოვა ახალი ყოველთვიური მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „სოვრემენნი ვოსტოკის“ პირველი ნომერი (ეს არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ორგანო).

ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ბ. გ. გაფუროვმა საკდესის კორესპონდენტს უამბო:

ჟურნალის ამოცანაა აღმოსავლეთის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობის გაშუქება. ჩვენი ჟურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების პრობლემებს და პირველ რიგში კოლონიური სისტემის დაშლასა და იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებას აღმოსავლეთში.

ჟურნალში დაიბეჭდება სტატიები აღმოსავლეთის ხალხთა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ბრძოლის შესახებ მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამ ბრძოლაში სხვადასხვა კლასის, პარტიისა და ორგანიზაციის როლის შესახებ.

ჟურნალში დიდ ადგილს დაიკავებს მასალები, რომლებიც პროპაგანდას უწევს სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რესპუბლიკებსა და აზიის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში.

ჟურნალი მკითხველებს გააცნობს აღმოსავლეთის ამ ქვეყნების მიღწევებს, რომლებიც დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ, მათი ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის განვითარებას, მოათავსებს ცნობებს საბჭოთა და უცხოეთის აღმოსავლეთმცოდნეობის მიღწევათა შესახებ.

ჟურნალში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს პუბლიცისტური სტატიები, საერთაშორისო და ეკონომიური მიმოხილვები, ცნობები აღმოსავლეთში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი ამბების შესახებ, მგზავრობის რეპორტაჟები, სხვადასხვა საინფორმაციო და საცნობარო მასალები. გარდა ამისა, მკითხველი ჟურნალში იპოვნის ბევრ ფოტოსურათსა და აღმოსავლეთის ცხოვრების ილუსტრაციას.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთის საკითხთა თვალსაჩინო საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები.

ჟურნალი ნავარაუდევია მკითხველთა ფართო წრეებისათვის და პირველ რიგში მეცნიერი მუშაკებისათვის, პროპაგანდისტებისათვის, პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის, აგრეთვე სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, რომლებიც აღმოსავლეთს სწავლობენ.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მეგობრულ ფინეთში

ჰელსინკი, 8 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ფინეთში ყოფნის მესამე დღე დაიწყო ფინეთის ყურეს შხერებში გემ „არიადნით“ მოგზაურობით. დაახლოებით დღის 12 საათზე ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები მივიდნენ ვერფ „ჰეიტალახტში“. საამქროებიდან გამოსული მუშები საბჭოთა სტუმრებს მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ. აქ, ვერფში, არიან ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, პარლამენტის თავმჯდომარე კ.-ა. ფაგერჰოლმი, პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი და ფინეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. ვერფის დირექტორ-განმკარგულებლის ვ. ვალფორსის და ვერფის სხვა მუშაკთა თანხლებით ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მიდიან მისადგომთან მყოფი ყინულმჭრელის „ვოიმას“ ტრაპთან; ეს ყინულმჭრელი პროტოტიპია ასეთივე სამი გემისა, რომლებიც ვერფში აშენდა საბჭოთა კავშირის შეკვეთით. აქ მათ საზოგადოება „ფინეთი-საბჭოთა კავშირის“ განყოფილების სახელით და საწარმოს ყველა მუშის სახელით მიესალმა ვერფის მუშაკი აარნე ლანკინენი. ლანკინენმა სიტყვის დამთავრების შემდეგ საწარმოს მთელი კოლექტივის სახელით ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს საჩუქრად გადასცა ფოტოალბომები. უპასუხა რა ვერფის მუშების მისალმებაზე, ნ. ა. ბულგანინმა თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ თქვენი მოსალმების პასუხად გამოვთქვა თქვენდამი მეგობრობისა და გულითადი მადლობის გრძნობა. ჩვენ ორივენი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და მე, ძლიერ ნასიამოვნები ვართ თქვენი გულითადი ამხანაგური მოსალმებით და, ჩვენი მხრივ, სულით და გულით მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო. თქვენი სახით მივესალმებით აგრეთვე ვერფის ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერსა და ტექნიკოსს. დაე ჩვენი შეხვედრა იყოს ჩვენი ხალხების მზარდი მეგობრობის საწინდარი. დაე სამარადისო იყოს საბჭოთა და ფინელი ხალხების მეგობრობა. ჩვენ კვლავაც ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი ხალხების კეთილდღეობისათვის, მომავალ თაობათა ბედნიერებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი მაგრად ართმევენ ხელს მუშების წარმომადგენლებს, რომლებიც მათ მიესალმნენ.

ერთ-ერთი მუშა კითხულობს წარწერას, რომელიც გაკეთებულია ნ. ს. ხრუშჩოვისათვის მირთმეულ ალბომზე: „როგორც ყინულმჭრელი ამსხვრევს ზღვების ყინულოვან ბორკილს, ისე ხალხთა შორის ნდობა და თანამოქმედება სპობს ჩვენს შორის სიძულვილის კედლებს“.

— ძალიან კარგად არის ნათქვამი! ასეც იქნება! — ამბობს პასუხად ნ. ს. ხრუშჩოვი. — თუ ხალხები ერთმანეთის მეგობრები იქნებიან, შეძლებენ დაამსხვრიონ დაბრკოლებანი მშვიდობის გზაზე.

გემ „არიადნით“ მოგზაურობაში საბჭოთა სტუმრებს ახლავან უ. კ. კეკონენი, კ.-ა. ფაგერჰოლმი, ვ. ი. სუქსელაინენი და სხვა ფინელი ხელმძღვანელი მოღვაწეები.

გემი ნელა შორდება მისადგომს. იხსნება მწვანე კუნძულების, თვალწარმტაცი კლდეების საუცხოო პანორამა. გემი მიდის ისტორიული სვიაბორგის ციხის ახლოს, სადაც 50 წლის წინათ ჯარები აჯანყდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ეს საინტერესო მოგზაურობა გაგრძელდა ორნახევარ საათზე მეტ ხანს და დამთავრდა ჰელსინკის ოლიმპის მისადგომთან. აქ გემის მისვლის დროისათვის შეიკრიბა ფინეთის დედაქალაქის მრავალი მოქალაქე, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

ჰელსინკი, 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დღის მეორე ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრნენ დღესასწაულს, რომელიც „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებამ გამართა. დღესასწაულზე, რომელიც ქალაქ ჰელსინკის უდიდეს დარბაზ მესუჰალში გაიმართა, სიტყვები წარმოთქვეს საზოგადოების თავმჯდომარემ ს.-კ. კილპიმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საღამოს საბჭოთა საელჩოში გაიმართა სადილი.

ჰელსინკი, 10 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი და ფინეთში მოგზაურობისას მათი თანმხლები პირები დაესწრნენ ფინეთის პროფკავშირული მოძრაობის 50 წლისთავის გამო გამართულ დღესასწაულს.

ოლიმპიურ სტადიონზე შეიკრიბა ფინეთის დედაქალაქის რამდენიმე ათასი მოქალაქე. დღესასწაულს დაესწრნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, პარლამენტის თავმჯდომარე კ.-ა. ფაგერჰოლმი, პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი. შეკრებილნი ფეხზე მდგომნი მიესალმნენ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც სტადიონზე მივიდნენ. ფინეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან და საბჭოთა სტუმრებთან ერთად სპატიო ლოჟაში არიან ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების ხელმძღვანელები.

დღესასწაულს დაესწრნენ სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შვერნიკი, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების პროფკავშირთა დელეგაციები.

ფინეთის პროფკავშირული მოძრაობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების თავმჯდომარემ ე. ანტიკაინენმა. მან დაასურათა ფინეთის პროფკავშირების მიერ განვლილი გზა და აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის დიდი მნიშვნელობა მათი განვითარებისათვის. დასასრულ ე. ანტიკაინენმა თქვა, რომ ფინეთის პროფკავშირული მოძრაობის, ფინეთის ყოველი მუშის საპატიო ამოცანას წარმოადგენს ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის დაცვა.

გუშინვე სსრ კავშირის საელჩოს შენობაში გაიმართა ჰელსინკში საბჭოთა კოლონიის წევრების შეხვედრა ნ. ა. ბულგანინთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან.

იმავე დღეს საღამოს ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუქსელაინენმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ფინეთში მოგზაურობისას ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუბიკინი, არმიის გენერალი მ. ს. მალინინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. აფანასიევი. დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, საელჩოს, სავაჭრო წარმომადგენლობისა და სამხედრო ატაშეს აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ფინეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ მთავრობის წევრები, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ვუორი, შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი კ. ჰეისკანენი, პარლამენტის დეპუტატები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების, საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ლახტი, 10 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, აგრეთვე მათმა თანმხლებმა პირებმა, რომლებიც ფინეთში არიან ფინეთის პრეზიდენტისა და მთავრობის მოწვევით, დაიწყეს მოგზაურობა ფინეთში.

მათთან ერთად გაემგზავრნენ ფინეთის სეიმის თავმჯდომარე კ.-ა. ფაგერჰოლმი, პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი, მიწათმოქმედების პირველი მინისტრი ი. მიეტტუნენი და სხვა ოფიციალური პირები.

დილის 10 საათზე მანქანები დაიძრნენ საბჭოთა სტუმრების რეზიდენციიდან (ჰელსინკი) და გაემართნენ ქალაქ ლახტისაკენ.

გასცდა რა გარეუბან კიაპოლიას, ავტომობილთა კორტეჟი გავიდა გზატკეცილზე, რომელიც ლახტში მიდის. შემხვედრ მანქანებს შორის ბევრი იყო საბჭოთა „პობედა“ და „მოსკვიჩი“. ეს ავტომობილები აქ მეტად პოპულარულია, და ბევრი ფინელი მათ უპირატესობას აძლევს სხვა მარკების ავტომობილების წინაშე.

გზა მიდის ნარევ და წიწვიან ტყეების შორის. თვალწარმტაცი დაბები ერთმანეთს სცვლიან. მანქანებმა ჩაუარეს პატარა სახლს, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ფინური ლიტერატურის დიდი კლასიკოსი ალექსის კივი.

დაბებისა და სოფლების მცხოვრებნი, მიუხედავად წვიმისა, გამოდიან გზაზე. მოზრდილნი და ბავშვები ალმებს აქნევენ, მისალმებით ხვდებიან და აცილებენ საბჭოთა სტუმრების მანქანებს.

გაანვამჯიცოთ მეგობრული ურთიერთობა და კონტაქტი

შეხვედრა ფინეთის მშვიდობის მომხრეებთან

ფინეთის მშვიდობის მომხრენი, რომლებიც ამ დროს ამ ადგილებში სამეგობროდ ქალაქში ჩამოვიდნენ, 7 ივნისს საღამოს შეხვდნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს.

სტუმრებს მოკლე სიტყვით მიმართა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ი. ე. გლუშჩენკომ.

—მოსკოველები, — თქვა მან, მოხარული არიან მიესალმონ პატივცემულ ფინელ სტუმრებს განსაკუთრებით იმ დროს, როცა ფინელი ხალხი მეგობრულად იღებს თავის ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს.

ტამპერის მუშათა საღამოს უნივერსიტეტის დირექტორმა ოივა იარვინენმა — ფინეთის მშვიდობის მომხრეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისა და გულითადობისათვის. მან თქვა, რომ ფინეთის მშვიდობის მომხრეთა ეს მეორე მოგზაურობა სსრ კავშირში ხელს შეუწყობს ფინეთსა და სსრ კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეს. ჩვენ გვსურს, თქვა შემდეგ ოივა იარვინენმა, ვიმუშაოთ საბჭოთა ადამიანებთან ერთად მშვიდობის დაცვისათვის ატომური და წყალბადის ბომბების წარმოების სრული აკრძალვისათვის, თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის.

შეხვედრაზე გამოვიდა მოგზაურობის ბევრი მონაწილე. მხატვარმა ეევა სედერსტრემმა სურვილი გამოთქვა, რომ მოსკოვში მოეწყოს ფინეთის ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა. მსახიობმა არტური ლაქსომ ხაზგასმით აღნიშნა ფინეთში სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის გამოსვლის დიდი მნიშვნელობა და წინადადება შეიტანა განაგრძონ თეატრალური კოლექტივების გაცვლა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

მწერალმა ინტო კალიომ შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ ფინეთში გამოდის თვალსაჩინო საბჭოთა მწერლების ნაწარმოებნი.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის რეჟისორი პ. ა. მარკოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კ. ნ. ელანსკაია, მწერალი მარიეტა შაგინიანი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი ლიუბოვ კოსმოდემიანსკაია, ჟურნალისტი დ. ზასლავსკი და სხვები. (საკდესი).

ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვაში დაწინაურებული კოლექტივი

ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კოლექტივმა ნახევარი წლის საწარმოო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 5 ივნისისათვის შეასრულა. ხე-ტყის დამზადების ექვსი თვის დავალება განაღდებულია 145 პროცენტით, სატრანსპორტო მაგისტრალებამდე მოზიდვის დავალება — 131 პროცენტით, ხოლო გამოზიდვის დავალება — 101 პროცენტით.

ამასთან სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის დავალება შეასრულა 121 პროცენტით და იკისრა წლის პირველი ნახევრის ბოლომდე დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით გამოზიდოს 17.000 კუბმეტრი ხე-ტყე.

სტარტზეა გ. არსენაშვილის კომბაინის აგრეგატი

დაიწყო მექანიზატორთა ტრადიციული „დღესასწაული“ — თავთავიანი მარცვლეული კულტურის მოსავლის აღება. ამ დღეს ელოდნენ კაჭრელები, და რაიონში ქერის მკას პირველი შეუდგა კომბაინერი ბ. არსენაშვილი სოფელ არაშენდის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის 52 ჰექტარიან ნაკვეთზე, რომელსაც „მწვანე მინდორს“ ეძახიან.

ეს იყო 8 ივნისს. კომბაინერი ბ. არსენაშვილი, ტრაქტორისტი შ. მოსულიშვილი და მეშტურვალე კ. ჭაქვინიშვილი შეუფერხებლად ამუშავებენ მანქანას. მეორე დღეს — 10 ივნისს უფრო ნაყოფიერი იყო მათი მუშაობა. ნახევარ დღეში მომკეს 10 ჰექტარი ქერის ყანა. ამ კომბაინის აგრეგატის წევრები ენერგიულად შრომობენ, რათა კომბაინერ ნ. ფრიდონაშვილთან შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვონ.

— ჩვენ დაძაბული მუშაობა მოგვიხდება, — ამბობს კომბაინერი ბ. არსენაშვილი, — იმისათვის, რომ გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარის ნაცვლად სეზონში მოსავალი ავიღოთ 300-350 ჰექტარზე. ამისათვის არ დავიშურებთ ენერგიას, სრულყოფილად გამოვიყენებთ ტექნიკას და ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ. ეს იქნება ჩვენი აგრეგატის სახელისა და ღირსების საქმე.

რაიონში სულ ასაღებია 3.000 ჰექტარი ქერი. მექანიზატორები პირობას დებენ დროულად დაამთავრონ ქერის აღება და შემდეგ ორგანიზებულად შეუდგნენ ხორბლის მკას. ეს სამუშაო უახლოეს დღეებში ფართო ფრონტით გაჩაღდება. კაჭრეთის მტს-ის და ბადიაურის მტს-ის რამდენიმე ათეული კომბაინი უკვე მინდვრად არის გასული. მოსავლის მასობრივად აღების სიგნალს ელიან...



სურათზე: ბ. არსენაშვილის კომბაინის აგრეგატი ქერის მოსავალს აღებს სოფელ არაშენდის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გარდაქმნები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციაში

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მიმდინარეობს უდიდესი გარდაქმნები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის მეშვიდე სესიის მიერ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ მიღებული კანონის შესაბამისად მრეწველობისა და მშენებლობის მართვა უნდა ხორციელდებოდეს ტერიტორიული პრინციპით ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონების საფუძველზე. თვითეულ ეკონომიურ რაიონში იქმნება სახალხო მეურნეობის საბჭო.

საქართველოს სს რესპუბლიკა თავისი მრავალდარგოვანი განვითარებული მრეწველობით ერთ მთლიან ეკონომიურ რაიონს წარმოადგენს. ამიტომ რესპუბლიკის მრეწველობის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა სახალხო მეურნეობის ერთი რესპუბლიკური საბჭო.

„კომუნისტის" თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ი. ჩოგოვაძემ განაცხადა:

ახალი კანონის საფუძველზე გაუქმდა მთელი რიგი სამრეწველო სამინისტროები. უფრო ოპერატიული, წარმოებასთან მიახლოებული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შექმნილია დარგობრივი სამმართველოები და ფუნქციონალური განყოფილებები. სამმართველოებიდან თორმეტი დარგობრივია, ესენი არიან: მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისა, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის, ქვანახშირის, ნავთობის და სამთამადნო მრეწველობისა, ენერგეტიკული მეურნეობისა („საქენერგოს"), სამშენ მასალათა მრეწველობისა, სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა, საფეიქრო მრეწველობისა, მსუბუქი მრეწველობისა, ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობისა, სახურასთო საქონლისა, ტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოები. უკანასკნელი ორი სამმართველო მომსახურებას გაუწევს სახალხო მეურნეობის საბჭოში შემავალი მრეწველობის ყველა დარგს.

გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის საბჭოში არის შემდეგი ფუნქციონალური განყოფილებები: საწარმოო-ტექნიკური, საგეგმო-ეკონომიური, საფინანსო, კაპიტალური მშენებლობის, შრომისა და ხელფასის, კადრებისა და სხვ.

უკვე დაზუსტებულია სიები იმ საკავშირო, რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა, რომლებიც დარგობრივი სამმართველოების გამგებლობაში გადადის. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სულ 1.800-მდე მსხვილი სამრეწველო საწარმო დაექვემდებარება, მათ შორის ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის მაღაროები, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ქვანახშირის შახტები, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ლოკომოტივმშენებელი ქარხანა და სხვ. მიმდინარეობს სამინისტროებისგან საწარმოთა მიღებ-ჩაბარების გაფორმება.

საუბარი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. გ. ჩოგოვაძესთან

სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში გაერთიანდებიან ადგილობრივი დარგობრივი მნიშვნელობის საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და დაწესებულებები, აგრეთვე სპეციალური და ჩვეულებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები. მათ შორის საქართველოს შახტების დაპროექტების, საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტების, მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების ინსტიტუტები და სხვ.

სამმართველოთა და განყოფილებათა ხელმძღვანელობისათვის მაღალკვალიფიციური, უნარიანი და ენერგიული სპეციალისტების შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. ამჟამად იგი ძირითადად გადაწყვეტილია. დანიშნული არიან არა მარტო სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსები, არამედ მათი მოადგილეებიც. მიმდინარეობს მუშაობა მუშაკებით აპარატის სრული დაკომპლექტებისათვის.

ზოგიერთი დარგობრივი სამმართველო, როგორიც არის, მაგალითად, ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, სასურსათო მრეწველობის, ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოები, დაკომპლექტებულია მთლიანად და ნორმალურ მუშაობას შეუდგა.

სახალხო მეურნეობის საბჭო საწარმოთა მუშაობისათვის სრულ პასუხისმგებლობას დაეკისრება დარგობრივ სამმართველოებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს, ამავე დროს საშუალებას მისცემს მათ ფართოდ გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი ინიციატივა, დამოუკიდებლად უხელმძღვანელონ მათთვის მინდობილ უბანს, გაათავისუფლონ ისინი ზედიზედ წვრილმანი მეურვეობისაგან როგორც სახელმწიფო გეგმების შესრულების, ისე საბჭოთა და უცხოოთის ტექნიკის დანერგვის, სიმძლავრეთა განვითარების საქმეში.

ხელმძღვანელობის გარდაქმნის ამ ორგანიზაციულ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ პარტიისა და მთავრობის მითითების შესრულებას იმის შესახებ, რომ გარდაქმნის პროცესში მტკიცედ უნდა დავიცვათ სახელმწიფო დისციპლინა, რომ ჩვენი სამრეწველო საწარმოები წარმატებით ანაღდებდნენ საწარმოო დავალებებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით და, რაც მთავარია, პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს მასალებით და მოწყობილობებით მეზობელი ეკონომიური რაიონების კოოპერირებულ საწარმოთა შეუფერხებელი მომარაგების დარგში. ეს მეტად მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, რომელიც ახლა სამმართველოებისა და განყოფილებების ყურადღების ცენტრში დგას.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეებში რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები დიდი შეგნებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან სახელმწიფო გეგმების შესრულებას, სულ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს რუსთავის მეტალურგთა, ქუთაისელ მეავტომობილეთა, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ქვანახშირის აუზების მეშახტეთა კოლექტივები. ისინი ყოველდღიურ დავალებებს საგრძნობი გადაჭარბებით ანაღდებენ.

მრეწველობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად მმართველობის გარდაქმნა, მისი მიახლოება უშუალოდ წარმოებასთან, რაც ახლა ხდება, თანმიმდევრულად განხორციელდება ქვედა რგოლებშიც, მოხდება წვრილი ორგანიზაციების გამსხვილება, აპარატის მუშაკთა რაოდენობის შემცირება, რათა მივაღწიოთ წარმოების მაღალ რენტაბელობას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ასეთი ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ უფრო დიდი მასშტაბის რთული სამუშაოები.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს წარმოების შემდგომი სრულყოფა, ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვა, საწარმოო პროცესებში ავტომატიკისა და ელექტრონიკის გამოყენება და ამით წინ წასწიოს წარმოება, გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, მკვეთრად გაუმჯობესოს მისი ხარისხი, მაქსიმალურად აამაღლოს შრომის ნაყოფიერება.

წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების სიმრავლე არ იძლეოდა სამშენებლო მექანიზმების სრულად გამოყენების, ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ფართო შესაძლებლობას, ხელს უშლიდა კაპიტალური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებას. ამჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მშენებლობის სამმართველო. ეს ხელს შეუწყობს სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებას, მისთვის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან მუშაობა დაიწყო რესპუბლიკაში მეორე მსხვილმა სამშენებლო ორგანიზაციამ — თბილისის მშენებლობის მთავარმა სამმართველომ. იგი მოწოდებულია აწარმოოს ხაბინაო, კომუნალურ და საქალაქო ნაგებობათა მშენებლობა.

მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები, ღრმად შევისწავლოთ და ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება.

ხელმძღვანელობის ახალ ფორმებზე გადასვლა, რაც რესპუბლიკის მრეწველობის ახალ ეტაპს წარმოადგენს, ემთხვევა ჩვენი ცხოვრების ღირსშესანიშნავ მომენტს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებას. წარმატებით ასრულებენ რა საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებებს, საქართველოს საწარმოთა კოლექტივებს მაღლა უჭირავთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად



მსოფლიოს მრავალ კუთხეში იცნობენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პროდუქციას. თბილისელი ჩარხმშენებლები ასრულებენ ჩინეთის, რუმინეთის, უნგრეთის, მონღოლეთის, ინდოეთის და მრავალი სხვა ქვეყნის დაკვეთებს. სურათზე: ჩინეთისა და ინდოეთისათვის განკუთვნილი სახარატო ჩარხებით დატვირთული ეშელონი ქარხნის ეზოში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ფეიქართა შეჯიბრება

მეორე წელია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ერევნის ლენინის სახელობის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის კოლექტივთან. ორი მომე რესპუბლიკის ფეიქრებს შორის მტკიცე მეგობრული კავშირი დამყარდა. ისინი ხშირად ესტუმრებიან ხოლმე ერთმანეთს, ურთიერთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რაც დიდად უწყობს ხელს ორივე საწარმოს კოლექტივის კარგ მუშაობას.

რამდენიმე დღის წინათ ერევნელი მეგობრები ესტუმრნენ თბილისელ ფეიქრებს. მასპინძლებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. მათ პატივსაცემად ფაბრიკის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გ. ხომასურიძე. მან ილაპარაკა ორი მომე რესპუბლიკის ფეიქართა მეგობრობის დიდ მნიშვნელობაზე, შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად მოპოვებულ მიღწევებსა და წარმატებებზე.

სტუმრების მხრივ სიტყვით გამოვიდა ერევნის ლენინის სახელობის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის დირექტორი გ. დარბინიანი. მან მადლობა გადაუხადა თბილისელებს გულთბილი მიღებისათვის და კომბინატის კოლექტივის სახელით მასპინძლებს საჩუქარი გადასცა.

სომეხ ფეიქართა დელეგაცია ხუთ დღეს იყო საქართველოს დედაქალაქში. დელეგაციამ დაათვალიერა თბილისის ისტორიული ადგილები, დაესწრო სპექტაკლს ოპერისა და ბალეტის თეატრში, იყო რუსთავში.

ზესტაფონელ მეჯაღურგთა დაწინაურებული ბრიგადები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელმა მეტალურგებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ზაპოროჟიელ მეტალურგებს ეჯიბრებიან, მაისის დავალება 103,8 პროცენტით შეასრულეს. ამასთან მნიშვნელოვნად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და საგრძნობლად გაუმჯობესეს მისი ხარისხი. მაისში დაწინაურდა მეორე საამქროს კოლექტივი (უფროსი შ. თედოზაშვილი), რომელმაც მაისის გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულა. პირველი საამქროს კოლექტივმა (უფროსი მ. რაზმაძე) მაისის დავალება 101.3 პროცენტით გაანაღდა.

ბრიგადებს შორის შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა კ. მდივნის ბრიგადამ, რომელიც ეჯიბრება ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის ვ. მეზენცევის ბრიგადას. ამ ბრიგადამ მაისის საწარმოო დავალება 119 პროცენტით შეასრულა.

კარგი მაჩვენებლები აქვთ დ. ღვინჯილიას, ქ. ურიათმყოფელის, ს. ფერაძის, ბ. გამგებელის, ა. მიქაბერიძის, კ. ცქიფურიშვილის, ვ. კაპანაძის, ზ. ფერაძის, ა. ჭუმბაძის და გ. ჩიგოგას ბრიგადებს.

ლექციური პროპაგანდის საკითხი რაიკომის ბიუროზე

ფულუკიძე. („კომუნისტის" კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონში ლექციური პროპაგანდის მდგომარეობის საკითხი. როგორც ბიუროს სხდომაზე გამოირკვა, რაიკომის ლექტორთა ჯგუფმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა. ლექტორთა უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, გულმოდგინედ ამუშავებს აღებულ თემას, ლექციას მჭიდროდ უკავშირებს საწარმოების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს.

ამასთან ერთად რაიკომის ბიუროზე აღინიშნა, რომ ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ნაკლებად იკითხება ლექციები ისეთ საინტერესო თემებზე, როგორიც არის ხალხთა მეგობრობა, სოციალისტური მეურნეობის წარმატებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი უპირატესობანი კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ცოტა იკითხება ლექციები ათეისტურ თემებზე.

პარტიის რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ლექტორთა ჯგუფის მუშაობის გასაუმჯობესებლად. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ განსაკუთრებით გააძლიერონ ლექციური პროპაგანდა ზაფხულის პერიოდში, ყოველი ღონისძიებით აამაღლონ სკკპ XX ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებების პროპაგანდისა და აგიტაციის დონე.

სრულყოფილად გამოვავლინოთ წარმოების გამოუყენებელი რეზერვები

„ლენინის რაიონის აქტივის თეორიულ კონფერენციაზე"

ამას წინათ ქ. თბილისის ლენინის რაიონის საწარმოების მოწინავე მუშებმა, წარმოების ხელმძღვანელებმა, მთავარმა ინჟინრებმა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებმა, საამქროს ოსტატებმა თავი შეიყარეს პარტიის რაიკომის ინიციატივით გამართულ თეორიულ კონფერენციაზე, რომელიც მოეწყო მეტად საინტერესო და აქტუალურ თემაზე — „სოციალისტური სამრეწველო საწარმოების მართვა".

თეორიული კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. კ. გოგლიძემ. მან ილაპარაკა კონფერენციის მიზნის, რაიონის საწარმოთა კოლექტივების ამოცანების შესახებ.

მოხსენებით „მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" გამოვიდა ჩაის გადამწონი ფაბრიკის დირექტორი ამხ. მ. სარჯველაძე.

ამხ. სარჯველაძემ მსმენელებს მოკლედ გააცნო სოციალისტური სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელობის ისტორია და აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები იცვლებოდა და იცვლება იმ კონკრეტული ვითარების შესაბამისად, როგორსაც მოითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარების ესა თუ ის ეტაპი.

— ვ. ი. ლენინს უშუალო ხელმძღვანელობით, — ამბობს მომხსენებელი, — შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ადადაშალა რა ფართო ასპარეზი საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყანა კომუნისტური პარტიის ბრძნული წინამძღოლობით უმოკლეს დროში გადაიქცა მძლავრი ინდუსტრიისა და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად, დაგროვდა ეკონომიური განვითარების უმდიდესი გამოცდილება. პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს დიდი ლენინის მიერ შემუშავებულ კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, სრულყოფს სამეურნეო ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს სახალხო მეურნეობის ამოცანებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

— ამჟამად, — განაგრძობს მომხსენებელი, — დღის წესრიგში დადგა მრეწველობისა და მშენებლობის ახლებური მეთოდით მართვის განხორციელება, რადგან სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელობის ძველი ფორმა აღარ შეესაბამებოდა ახალ მოთხოვნებს სახალხო მეურნეობის კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობის საქმეში. მომხსენებელი კონკრეტულად მიმოიხილავს ლენინის რაიონის საწარმოების, კერძოდ ჩაის გადამწონი ფაბრიკის კოლექტივის ამოცანებს მრეწველობისა და მშენებლობის მმართველობის ფორმის ახლებურად გარდაქმნასთან დაკავშირებით.

სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის საქმეთა თავმოყრის შედეგად, განაცხადა მან, ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული, ოპერატიული გახდება.

ამხ. სარჯველაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ ქარხნის საწარმოო სიმძლავრის გაუთვალისწინებლობა რა უარყოფითს გავლენას ახდენს კონკრეტულად ჩაის გადამწონი ფაბრიკის მუშაობაზე. ამის გამო, მაგალითად, ფაბრიკის საწარმოო გეგმა 1956 წლის განმავლობაში ოთხჯერ შეიცვალა.

მომხსენებელი აყენებს საკითხს წამახალისებელი ღონისძიებების, განსაკუთრებით მატერიალური დაინტერესების ეფექტურად გამოყენების შესახებ.

— უნდა ავამოქმედოთ ეკონომიური ზემოქმედების ყველა სამუალება, — ამბობს იგი, — წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, შრომის ახლებური მეთოდების, წარმოების განვითარების პროგრესული საშუალებების გამონახვისათვის.

ამხ. სარჯველაძის აზრით პროდუქციის ხარისხის კონტროლის უფლება უნდა გადაეცეს იმათ ვინც უშუალოდ ქმნის პროდუქციას. მაგალითად, საამქროს ოსტატს. წარმოებაში უნდა გაუქმდეს ტექნიკური კონტროლის განყოფილებები. აგრეთვე პირველი კატეგორიის ქარხნებში უნდა აეერთიანდეს მონათესავე განყოფილებები. ყოველივე ეს გააიაფებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. სამხარაძემ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება — „სამრეწველო საწარმოების მართვის ლენინური პრინციპების შესახებ". მან ილაპარაკა იმაზე, რომ სამრეწველო საწარმოების მართვის ლენინური პრინციპი მოითხოვს ბალშისადმი შემოქმედებითს მიდგომის. მოწინავე ტექნიკის მიღწევებზე დაყრდნობით ხელმძღვანელი ღრმად უნდა ჩასწვდეს ცალკეულ საწარმოს თავისებურებებს.

— ჩვენს ქვეყანაში მშრომელებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ მრეწველობისა და მშენებლობის მართვაში. ამას ისინი კიდეც ახორციელებენ, — განაცხადა 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსმა ნ. ოსიპოვმა, რომელიც გამოვიდა მოხსენებით — „მშრომელთა შემოქმედებითი მონაწილეობა საწარმოს მართვაში და სოციალისტური შეჯიბრების მასობრივი ორგანიზაცია". ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, განაგრძობს მომხსენებელი, — რომ თეზისები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ წარმოდგენილი იყო საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ასეთი სწორი პოლიტიკის შედეგად მუშები უფრო და უფრო ავლენენ ინიციატივას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, ჩვენი ქარხნის ხარატმა აკოფოვმა მეხუთე ხუთწლედში 31 წლის გეგმა შეასრულა, კიროვის სახელობის ქარხნის მჭედელმა მანველაძემ — ხუთ წელიწადში 16 წლისა, ხარატმა ზუბრიცკიმ — 17 წლისა და ა. შ

ამხ. ს. თათრიშვილმა კონფერენციას წარუდგინა მოხსენება — „სამრეწველო საწარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა". მან მხარი დაუჭირა ამხ. სარჯველაძის წინადადებას ზოგიერთ დიდ ქარხანაში მონათესავე საამქროების გაერთიანების შესახებ, შემოიტანა წინადადება, რომ უმჯობესი იქნება მცირე საწარმოებში საამქროების გაუქმება. დირექტორი ამ ღონისძიების შედეგად უფრო ახლოს იქნება წარმოებასთან და მისი საქმიანობა უფრო ოპერატიული, კონკრეტული გახდება.

ლ. ანდრეევამ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საკრეხი საამქროს უფროსმა, მსმენელებს მოუთხრა სამრეწველო საწარმოებში ოსტატის როლის ამაღლების მნიშვნელობის შესახებ. მან ფაქტებით დაადასტურა, რომ ხშირად სამრეწველო საწარმოებში ოსტატის როლი სათანადოდ არ არის შეფასებული. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჟურნალ „ტექსტილნაია პრომიშლენნოსტის" ფურცლებზე გამართული დისკუსიის დროს ერთერთმა ავტორმა ტექნიკურ საწარმოებში ოსტატის თანამდებობის გაუქმება მოითხოვა. ლ. ანდრეევამ კომბინატის ცხოვრებიდან მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ აღწევს კარგი ოსტატი საამქროში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას (მუშების შერჩევით, კადრების აღზრდით და სხვ.).

კონფერენციამ მოისმინა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსის ა. ბელიკოვის მოხსენება „საწარმოთა და ცალკეულ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების განვითარებით და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება". მხარი დაუჭირა რა ამხ. სარჯველაძის წინადადებას ამ საკითხში, მან მოიყვანა მაგალითები, თუ რა დადებითად მოქმედებს მატერიალური დაინტერესება საწარმოო გეგმების შესრულებაზე.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროს პარტბიუროს მდივანმა, ნოვატორმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ წაიკითხა მოხსენება „პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების როლი სამრეწველო საწარმოებში". კერძოდ ამხ. ჭუმბურიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდმნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ამ მხრივ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულ-პროფკავშირული ორგანიზაციები. პარტიული და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამების შედეგად ქარხანა საწარმოო გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. თ. ქვლივიძემ შეაჯამა თეორიული კონფერენციის მუშაობა, რომელმაც მეტად საინტერესოდ და საქმიანად ჩაიარა.

ბ. მარუაშვილი,
ვ. ფერაძე.

თბილისური პიანინოს ხარისხი გაუმჯობესებულია

თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

კომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით — 103,7 პროცენტით შეასრულა, თვითღირებულება 3,9 პროცენტით შეამცირა, შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგად შეძლო 123.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვების მოცემა. ყოველივე ამას გარდა, მან უზრუნველყო მუსიკალური ინსტრუმენტების — როიალებისა და პიანინოების მაღალი ხარისხი. უკანასკნელმა შემოწმებამ ცხადყო, რომ თბილისური წარმოების პიანინო ამ ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტების მაღალ კლასს უნდა მიეკუთვნოს.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ პიანინოებისა და ავეჯის საამქროთა კოლექტივები, რომლებმაც მზა პროდუქციის გამოშვების გეგმები პირნათლად შეასრულეს. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ დურგლებს — ს. საბანაძეს და ვ. მერაბიშვილს, გამკრიალებლებს ლ. პოლინოვას და ე. მოტორნაიას, პიანინოს ამწყობებს — შ. კაციტაძეს და გ. ნავროზაშვილს.

იზრდება ხორცისა და რძის წარმოება

საბარეჯო. („კომუნისტის" სპეც. კორ.). პატარძეულელი მეცხოველეები დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს, სრულად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს. ამის შედეგად მიღწეულია პირველი წარმატებები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

საკმარისია ითქვას, რომ პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 20 მაისისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უკვე მიიღო 811 კილოგრამი რძე და იბრძვის 1.600 კილოგრამის მიღებისათვის. ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიღებულია 36 ცენტნერზე მეტი რძე, 40,8 ცენტნერი ხორცი, ხოლო ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე — 27,9 ცენტნერი ღორის ხორცი.

ვადაზე ერთი თვით ადრე შესრულდა მატყლის, კვერცხის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმები. აქაური მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ ხორცის ჩაბარების ნახევარი წლის დავალება 15 ივნისამდე შეასრულონ.

კოლმეურნეობის მეცხვარეები გულდასმით გაეცნენ პარტიისა და მთავრობის წერილს მეცხვარეობის შემდგომი გავითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ და იკისრეს გადიდებული ვალდებულებები. პირობა დადეს წელს გეგმით გათვალისწინებული 4.900 ცხვრის ნაცვლად 1958 წელს ჰყავდეთ 8.000 ცხვარი, ხოლო 1960 წლისათვის 10.000-ზე მეტი, წელს თვითეულ ცხვარზე მიიღონ 3,2 კილოგრამი მატყლი ნაცვლად 3 კილოგრამისა. პატარძეულელ კოლმეურნეებს უყვართ ცხვარი, რომელიც მათი შემოსავლის დიდმნიშვნელოვანი წყაროა. შარშან კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1 მილიონ 682 მანეთს შეადგენდა, აქედან მეცხოველეობიდან მიღებულ იქნა 864.223 მანეთი, ხოლო მეცხვარეობიდან — 427.000 მანეთი.

ჭრებალოში საუკეთესო კრამიტს აკეთებენ

ჭრებალო. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემის ჭრებალოს კრამიტის ქარხანა თავიდანვე ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი ხარისხის კრამიტის გამომშვები საწარმო. ამით აიხსნება, რომ აქაურ კრამიტს ეზიდებოდნენ არა მარტო ახლომახლო სოფლებსა და რაიონებში, არამედ ქუთაისის სამრეწველო მშენებლობებზეც.

გასულ წელს ამ ქარხნის კოლექტივმა ცუდად იმუშავა, საწარმოო დავალება ვერ შეასრულა. წელს კი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, ქარხნის კოლექტივმა მოახერხა მუშაობის გარდაქმნა. 5 თვის დავალება 20 მაისისათვის განაღდებული იყო მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. ქარხნის მიერ გამოშვებული კრამიტი მაღალი ხარისხისაა.

მაღალხარისხოვანი კრამიტის გამოშვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჭრებალოელი მეკრამიტეების მოწინავე წარმომადგენლებს გ. ჩარკვიანს, ქ. ფრუიძეს, შ. ჭიღვარიას, თ. ბენდიუკს, მ. ჭიღვარიას, რ. სამთელაძეს, გ. ჭიჭინაძეს და ბ. ფრუიძეს.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

მიმდინარე წლის აპრილის პირველ რიცხვებში გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია აზერბაიჯანის სსრ შემახის რაიონს ეწვია. გურჯაანელები იქ გულდასმით გაეცნენ მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობას. ამ ორ რაიონს შორის საზეიმო ვითარებაში გაფორმდა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

ამ დღეებში შემახის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მურსალიევი ხელმძღვანელობდა, გურჯაანს ესტუმრა. ქალაქი საზეიმოდ იყო მორთული.

აზერბაიჯანელთა პატივსაცემად კულტურის სახლში მეგობრობის საღამო გაიმართა. პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. დავითაშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ლენინისეულებს ახორციელებენ რაიონში ნაკისრი ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვლ. ოსოშვილი, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი ნელი გურგენიძე და სხვები. სიტყვით გამოვიდა შემახის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. ა. მურსალიევი.

— ჩვენ დღემდე არ ვყოფილვართ საქართველოში, მაგრამ მის სიმშვენიერეზე, ქართველი ხალხის ბეჯით შრომაზე, ხალხთა შორის დამკვიდრებულ ლენინურ მეგობრობაზე ბევრი რამ გაგვიგია. გწამდეთ, რომ აზერბაიჯანელებმა თქვენდამი უსაზღვრო სიყვარულით არიან გამსჭვალული. ერთმანეთთან ხელიხელჩაკიდებულმა სასახელოდ შეავსრულეთ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ვამრავლოთ წარმატებანი.

საღამოს დასასრულ გაიმართა კონცერტი. რაიონის თვითმოქმედება მხატვრულმა კოლექტივებმა შეასრულეს ქართული, აზერბაიჯანული, რუსული, სომხური სიმღერები და ცეკვები. სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ვილისციხის საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებულმა აზერბაიჯანულმა ხიმღერამ „ჯუჯალარი“.

მეორე დღეს შემახელები ალაზნის ველს ესტუმრნენ. პირველად გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები ინახულეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ჭინჭარაულმა დაწვრილებით მოუთხრო ვაზის მოვლა-პატრონობის შესახებ. შემახის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა „შირვანის“ დირექტორმა ამხ. გ. გლინჯოვმა თქვა:

— ჩვენ აშენამდე 800 ჰექტარზე მეტი ვენახი გვაქვს. სამი წლის შემდეგ 1.500 ჰექტარი გვექნება. ეს ჩვენ გვახარებს, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ თქვენი ვენახები უკეთესად არის დამუშავებული. სიტყვას გაძლევთ, რომ აქ ნახულს ფაქთად განვაზოგადებთ, ვენახების მოვლა-პატრონობის საქმეში მალე დაგეწევით.

შემახელებმა საფუძვლიანად დაათვალიერეს სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის ვენახები და საგაზაფხულო კულტურების ნათესები. შემახის რაიონის სოფელ აღნალის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მამედოვმა სურვილი გამოთქვა, რომ მათი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებას ჭანდრის კოლმეურნეობასთან. ჭანდრელები სიხარულით დათანხმდნენ. ორივე მხარემ გადადებული ვალდებულებები იკისრა.

ბაკურიანის კოლმეურნეობა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია შემახის რაიონის გეოგლარის კოლმეურნეობასთან. ბაკურიანელები წარმატებით ანადგურებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

მესამე დღეს აზერბაიჯანელები ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას ესტუმრნენ. აქ მათ დაათვალიერეს ვენახი, რომლის ფართობი 200 ჰექტარზე მეტია, გაეცნენ მეაბრეშუმეობას.

სტუმრები იყვნენ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მეძროხეობის ფერმაში, სადაც ყველა ძროხა მაღალპროდუქტიულია. შრომატევადი სამუშაოები მექანიზებულია. წელს 1 მაისისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.100 ლიტრი რძე მიიღეს. ლიტრი რძის თვითღირებულება 74 კაპიკს არ აღემატება.

აზერბაიჯანელები იყვნენ გურჯაანისა და ვილისციხის მტს-ებში. შემახის მტს-ის დირექტორმა შ. გაჯიევმა თქვა:

— რაიონის ვენახების, ხორბლის, საგაზაფხულო კულტურების ნათესების და მეცხოველეობის ფერმების დათვალიერებით დავრწმუნდით, რომ მექანიზატორები კოლმეურნეთა მხარდამხარ ბეჯითად იბრძვიან მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. გურჯაანელთა გამოცდილების დანერგვა დიდად დაგვეხმარება მუშაობაში.

შემდეგ გაეცნენ გურჯაანისა და მუკუზნის ღვინის ქარხნების მუშაობას. დაინტერესდნენ ქართული ღვინოების დაყენების ტექნოლოგიით და ბოლოს დაათვალიერეს წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დეკორაციული პარკი, იყვნენ ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. მეოთხე დღეს შემახელები გურჯაანიდან გაემგზავრნენ. მათ მხურვალე გაცილება მოიწყეს. აზერბაიჯანელებმა გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელებს ითხოვეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად მომდინარე წლის ბოლოს დელეგაცია გაგზავნონ შემახის რაიონში.

შემახელების ყოფნა გურჯაანის რაიონში აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ზეიმად გადაიქცა.

ს. ᲥᲘᲯᲚᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. ჭინჭარაული (მარცხნიდან მესამე) შემახელებს უზიარებს ვაზის დატვირთვის გამოცდილებას.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ „ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ“ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲐ

დამთავრდა ამიერკავკასიის პირველი „თეატრალური გაზაფხული“, „თეატრალურ გაზაფხულთან“ დაკავშირებით სამი მოძმე რესპუბლიკის კულტურის სამინისტროებმა შექმნეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ალესკეროვი, ა. ავეტისიანი, ს. გისპარიანი, ა. გუნია, ჯ. ჯაფაროვი, მ. დადდოვა, ა. დვალიშვილი, ვ. კუპრავა, კ. კაბარიანი, პ. კანდელაკი, ე. მამუდბანლი, ი. ნაზაროვი, ი. თავაძე და ბ. ეფენტი.

საორგანიზაციო კომიტეტმა „თეატრალურ გაზაფხულზე“ წარმოდგენილი პიესების „საცდელი მინდორის“, „შირვანის ტუოფას“, „ზღვაში ავი ძაღლიას“ ავტორები ნ. ზარიანი, ე. მამუდბანლი და კ. ბუაჩიძე დაჯილდოვა სიგელებით. აზერბაიჯანელ დრამატურგს ე. მამედბანლის მიეცა წამახალისებელი ფულადი ჯილდო. გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „საცდელი მინდორის“ დამდგმელს სომხეთის სსრ სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ვ. აკემიანს გადაეცა სიგელი და პრემია. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „ზღვაში ავი ძაღლია“ დამდგმელს გ. პატარაიას მიეცა სიგელი, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს მხატვარ ფ. ლაპიაშვილს — პრემია და სიგელი სპექტაკლის მხატვრული გაფორმებისათვის. აზერბაიჯანული და სომხური თეატრების სპექტაკლების მხატვრები დაჯილდოვდნენ სიგელებით. პრემიებით დაჯილდოებული არიან „თეატრალური გაზაფხულის“ სპექტაკლებში მონაწილე მსახიობები — ნ. ჩხეიძე, მ. ჩახავა, ვ. დოლიძე, ლ. ღამბაშიძე, ე. საყვარელიძე, გ. ჯანიბეკიანი, ა. ავეტისიანი, ა. ასრიანი, დ. მალიანი, ე. ოვანესიანი, ს. ჰაჯიევა, ა. სულთანოვა, მ. ნოვრუზოვა, გ. სალაევი და ალი კურბანოვი. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებულ იქნა აზერბაიჯანის თეატრის სპექტაკლში მონაწილე მოსწავლე ა. მამედოვა. აგრეთვე პრემიებით დაჯილდოებული არიან ტექნიკური მუშაკები რუსთაველის სახელობის თეატრიდან ნ. კრავეიშვილი, ს. კილაძე, აზიზბეკოვის სახელობის თეატრიდან ა. ატაკიშიოღლი, სუნდუკიანის სახელობის თეატრიდან ა. ელიზიანი. 50-ზე მეტი კაცი დაჯილდოებულია სიგელებით.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ო. ეგაძის ინფორმაცია „თეატრალური გაზაფხულის“ მონაწილეთათვის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პრემიების მინიჭების შესახებ. დრამატურგ კიტა ბუაჩიძეს მიენიჭა პრემია პიესა „ეზოში ავი ძაღლიას“ ოსტატურად დაწერილი დიალოგებისათვის. ხოლო კრიტიკოსებს ჯ. ჯაფაროვს, ა. სალახიანსა და ბ. ეფენტს მიენიჭათ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პრემიები თავიანთ მოხსენებებში „თეატრალურ გაზაფხულზე“ წარმოდგენილი სპექტაკლების ღირმა, პროფესიული ანალიზისათვის.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝᲓ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო საწარმოები და კოლმეურნეობები მხურვალედ გამოეხმაურნენ თელაველთა მოწოდებას ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების საინიმუშოდ მოსამზადებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

წყალთა მეურნეობის ახალციხის სანისტემო სამმართველო ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის სახელოსნის გადასცემს სადურგლო დაზგებს, მაგიდებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგური — 2 ტრაქტორს. ავტოსატრანსპორტო კანტორა სასკოლო ინტერნატს 1 აგვისტომდე მოუწყობს სახელოსნოს.

„ახალციხეშვანახშირის“ პირველი შახტის დირექციამ დაბა ვალეს საშუალო სკოლას გადასცა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“, შეუდგა სახარატო დაზგის აგებას, წესრიგში მოჰყავს სახელოსნოს ელექტროგაყვანილობა, აწარმოებს სკოლის ეზოს შემოკავებას. ახალციხის ხე-ტყის დამზადების კანტორა სვირის საშუალო სკოლის სახელოსნოში აწყობს მექანიკურ სახერხ დაზგას.

ასევე კარგად ეხმარებიან ანდრიაწმინდის 7-წლიან სკოლას — დიატომიტის მაღაროს კოლექტივი. მუსხის 7-წლიან სკოლას — ამავე სოფლის კოლმეურნეობა, ქალაქის მე-3 საშუალო სკოლას — ავტოსატრანსპორტო კანტორა და ა. შ.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). თელაველთა პატრიოტულმა მოწოდებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ზუგდიდის რაიონის მშრომელებში. ამას წინათ გაიმართა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საეიურნეო ორგანიზაციების მუშაკების თათბირი. დამსწრენი გულდასმით გაეცნენ თელავის რაიონის მშრომელების ინიციატივას და ერთსულოვნად მიიწონეს იგი.

მიღებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი. ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი ქალაქის პირველ შვიდწლიან სკოლას გადასცემს ექვსგანყოფილებიან შენობას; სოფელ ნარაზენისა და ჭითაწყარის კოლმეურნეობების გამგეობებმა, კოლმეურნეთა თანხმობით, სკოლებს დაუთმეს ორი ორსართულიანი შენობა, რომლებშიც მოთავსებულია კანტორა. ასევე რუხის კოლმეურნეობა „ახალაბასთუმანი“ შვიდწლიან სკოლას აძლევს ორსართულიან კაპიტალურ შენობას.

სოფელ ოქტომბრის მიქოიანის, ჩხორიის ედანოვის, სოფელ ორჯონიკიძის, რიყის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობები საშუალო სკოლებისათვის წელს დაიწყებენ ახალი კაპიტალური შენობების აგებას. ასევე მოიქცევიან ინგირელი კოლმეურნეები, ხოლო ჭაქვინჯის კოლმეურნეობა წელს დაამთავრებს საშუალო სკოლისათვის დაწყებული შენობის მშენებლობას. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს სხვა კოლმეურნეობებმაც.

დიდი ყურადღება მიექცევა სკოლებში პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო ბაზის შექმნას. ახალი სასწავლო წლისათვის რაიონის სკოლების კაბინეტები შეივსება 96 ათასი მანეთის სასწავლო მოწყობილობით, ხოლო ბიბლიოთეკები — 50 ათასი მანეთის ლიტერატურით. სკოლების მიმდინარე რემონტი დამთავრდება 25 ივნისამდე, კაპიტალური — 10 აგვისტომდე. ჭკადუაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა შვიდწლიან სკოლას აუშენებს სასწავლო სახელოსნოს. ბავშვთათვის მოეწყობა პიონერთა ორი ბანაკი.

ზუგდიდელმა მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ცხაკაიას რაიონის მშრომელები და გააჩაღეს ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

7 ივნისისათვის თბილისის ტურისტთა ბაზა უკვე მზად იყო სტუმრების მისაღებად. გემოვნებით მოწყობილ ტურისტთა კაბინეტს, დასასვენებელ ოთახებსა და სასადილოს მაგიდებს ყვავილების თაიგულები ამშვენებდა.

დილის 9 საათზე ბაზას ეწვია ტურისტთა პირველი ჯგუფი. ესენი იყვნენ ამიერკავკასიის მარშრუტის მონაწილენი. ვის არ შეხვდებით მათ შორის. აგერ უკვე მოუსწრიათ დამეგობრება კალუგელ ხარატს პ. კოპჩონოვსა და კალინინგრადელ ტექნოლოგს ი. ბელოვს, სტავროპოლელ მასწავლებელს ა. ფომინასა და პუშკინოელ ექიმს ლ. ზუევას. ისინი მხიარული საუბრით მიემართებიან დასასვენებელი ოთახისაკენ, ეზიარებენ ერთმანეთს პირველ შთაბეჭდილებებს. ასეთი დამეგობრებული ბევრია ტურისტებს შორის. ისინი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ამ რამდენიმე დღის წინათ ბაქოს ტურისტულ ბაზაში, ერთად დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, შემდეგ გაემგზავრნენ ერევანში, იქ ოთხი დღე დაჰყვეს, ახლა კი თბილისს ეწვივნენ.

დასვენებისა და საუზმის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ტურისტთა კაბინეტი, სადაც მრავლად არის წარმოდგენილი საქართველოს კულტურის ძეგლებისა და ახალმშენებლობების ფოტოსურათები, გამოფენილია ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა, მოწინავე ადამიანთა პორტრეტები და სხვა მასალები საქართველოს რესპუბლიკის შესახებ. აქვე მოისმინეს საუბარი თბილისზე და შემდეგ გაემგზავრნენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად.

—ბევრი რამ გამიგია მზიური საქართველოს შესახებ, — გვითხრა კიეველმა ინჟინერმა ქალმა ე. პოტიშენმა, — მაგრამ იმან, რაც აქ ვნახეთ, ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ლამაზია თქვენი ქალაქი, მწვანეში ჩაფლული მისი ქუჩები და მოედნები. მოგვხიბლა აგრეთვე თბილისელთა სტუმართმოყვარეობამ.

ტურისტები ორ დღეს დაჰყოფენ თბილისში და შემდეგ გაემგზავრებიან ბათუმში.

11 ივნისს ბაზას ეწვევა ტურისტთა ახალი ჯგუფი სომხეთიდან. მათი მარშრუტი აქ ჩამოსვლიდან ასეთია: თბილისი — გორი — ქუთაისი — გაგრა. 17 ივნისს აქ ჩამოვა უცხოელი ტურისტების პირველი ჯგუფი საქართველოს სამხედრო გზით. ამავე თვეში ჩამოვლენ № 44 ჩათვლითი მარშრუტის მონაწილენი, რომლებიც მარშრუტის დამთავრების შემდეგ მიიღებენ „სსრ კავშირის ტურისტის ნიშანს“.

ლ. ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ტურისტების ჯგუფი ათვალიერებს თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

„ᲡᲐᲥᲑᲝᲡᲢᲐᲜᲯᲘᲛᲗᲔᲡᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ

ᲚᲒᲝᲒᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲘ

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 4, „საქბოსტანჯიმთესლის“ რესპუბლიკური კანტორა. ეს მისამართი კარგად არის ცნობილი საქართველოში ყველასათვის, ვინც ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების ჯიშიანი მეთესლეობით არის დაინტერესებული. კანტორა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში სახელშეკრულებო საწყისებზე ყოველწლიურად ამზადებს და რეალიზაციას უკეთებს ათასობით ცენტნერ თესლს. მარტო ის ფაქტი, რომ რესპუბლიკურ კანტორაში, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებულ თელავის, გორის, ქუთაისისა და აფხაზეთის საარაონთაშორისო კანტორებში რამდენიმე ათეული კაცი მუშაობს, ცხადყოფს, თუ რა დიდ სახსრებს ხარჯავს სახელმწიფო ჩვენში ჯიშიანი მეთესლეობის განსავითარებლად.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ კანტორამ ერთგვარი წვლილი შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ჯიშიანი მეთესლეობის აღმავლობის საქმეში. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კარგი მუშაობის პირობებში მას მეტის გაკეთება შეეძლო.

უკანასკნელ დროს სამეურნეო ორგანოებში შევიდა მშრომელთა მრავალი საჩივარი „საქბოსტანჯიმთესლის“ რესპუბლიკური კანტორისა და მისი მმართველის გ. ჩეჩელაშვილის მისამართით. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ინახება ამ საქმის რკვევის მასალებისაგან შემდგარი სქელტანიანი წიგნი, რომელიც 170 გვერდს შეიცავს. აღნიშნული მასალების საფუძველზე სამინისტროს კოლეგიის გასული წლის 26 დეკემბრის სხდომაზე გამოირკვა, რომ კანტორის მუშაკთა შორის ადგილი ჰქონდა არაჯანსაღ დამოკიდებულებას, კანტორის მმართველი გ. ჩეჩელაშვილი ზოგჯერ ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას, რაც ყალბი მივლინებების გაფორმებაში გამოიხატებოდა. უხეშობას იჩენდა თანამშრომელთა მიმართ. არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული კანტორაში თესლის დამზადების, მიღებისა და შენახვის საქმე. მოსალოდნელი იყო, რომ სამინისტრო მიიღებდა ქმედითს ზომებს, მკაცრად დასჯიდა დამნაშავეებს, ერთხელ და სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს კანტორაში შექმნილ მდგომარეობას. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. სამინისტროს კოლეგია დაკმაყოფილდა ჩეჩელაშვილისათვის საყვედურის გამოცხადებით და სამი პუნქტისაგან შემდგარი ზოგადი დადგენილება მიიღო. ამის შემდეგ გასაკვირველი როდია, რომ ლმობიერმა სასჯელმა გაათამამა მმართველი, წარსულმა გაკვეთილმა ვერაფერი ასწავლა მას და მუშაობაც ძველებურად განაგრძო.

ᲣᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲔᲡᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲓᲐᲛᲬᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ კარგად მოწყობილ მეთესლეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია ჯიშიანი თესლის დამზადების დავალებათა შეუსრულებლად. მაგრამ არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ უკანასკნელ ხანს კანტორა ამ დავალებებს ვერ ასრულებს. 1955 წელს მან ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების გეგმა მხოლოდ 66,3 პროცენტით შეასრულა. ამ ფაქტიდან სათანადო დასკვნა არც შარშან გაუკეთებიათ. ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების 1956 წლის გეგმის შესრულებას 24,3 პროცენტი დააკლეს. რაკი არ ჰქონდათ საკუთარი წარმოების ზოგიერთი თესლი, ისინი სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდეს. მაგალითად, შარშან საქართველოში შემოზიდულ იქნა 1.060 ცენტნერი სხვადასხვა ბოსტნეულის (მათ შორის კიტრის, ბოლოკის, საზამთროს, საკვები ჭარხლის) თესლი, რომლის გარკვეული ნაწილის დამზადება კარგი მუშაობის პირობებში თავის დროზე ადგილზევე შეიძლებოდა.

„საქბოსტანჯიმთესლის“ რესპუბლიკური კანტორის მოვალეობაა მომხმარებლებს მიაწოდოს მხოლოდ კეთილხარისხოვანი და ჯიშიანი თესლი. მაგრამ იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ივიწყებენ ამას, რითაც დანაშაულს სჩადიან. მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილს ერთ დღეს „საქბოსტანჯიმთესლის“ რესპუბლიკური კანტორის მესამე მაღაზიაში, რომელიც თბილისში, 26 კომისრის სახელობის რაიონშია, გამგე ლ. სარაჯევი ჰყიდდა საკვები ჭარხლის უკონდიციო თესლს. იქვე თაროებზე ელაგა კომბოსტოს, წიწმატის და სხვა ბოსტნეულის უკონდიციო თესლი. სამწუხაროდ, მესამე მაღაზია ამ მხრივ გამონაკლისი არ არის.

გასული წლის 12 დეკემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ ულიანოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ რესპუბლიკური კანტორიდან შეიძინა 18 კილოგრამი სტაფილოს თესლი, რაშიც გადაიხადა 1.260 მანეთი. კოლმეურნეები, რომლებმაც ეს თესლი 2 ჰექტარზე დათესეს, მოუთმენლად ელოდნენ მის ამოსვლას. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. უკონდიციო თესლი მზის სინათლეს ვერ ეღირსა... როცა ეს ამბავი კანტორაში შეიტყეს კოლმეურნეობას ხელმეორედ იმავე რაოდენობით მისცეს თესლი და კვლავ გადაახდევინეს თესლის ღირებულება.

ამას წინათ შემოწმებულ იქნა კანტორის თბილისის მაღაზიებიდან აღებული სხვადასხვა თესლის 35 ნიმუში. ყველა თესლი უკონდიციო აღმოჩნდა.

კანტორის ხელმძღვანელ მუშაკთა უდარდელობის შედეგად უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სისტემაში უკონდიციო შეიქმნა 67 ათასი მანეთის თესლი (დამზადების ფასებით).

როგორც ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან ჩანს, კანტორის მუშაკები კოლმეურნეობებს ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში ხელის შეწყობის ნაცვლად ხელს უშლიან. ეს აშკარა დანაშაულია!

კანტორის მთავარ საწყობში (თბილისი, გრიშაშვილის ქ. № 30) წესით უნდა ინახავდნენ მხოლოდ შემოწმებულ, კონდიციურ თესლს. მაგრამ ზოგჯერ არღვევენ ამ წესს. აქ ჩვენ ვნახეთ საკვები ჭარხლის 500 კილოგრამი შეუმოწმებელი თესლი, რომელიც 4 თვის წინათ მიეღიათ. ამის შესახებ საწყობის გამგემ ა. ჯიბაშვილმა განაცხადა:

— ჭარხლის ეს თესლი გარდაბნის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას ეკუთვნის. იგი კონდიციურია, მაგრამ ამის დასადასტურებელი საბუთები არა გვაქვს.

იმავე დროისათვის საწყობში ინახავდნენ სტაფილოს 120 კილოგრამ უკონდიციო თესლს. საინტერესოა, რატომ იტკივებს თავს საწყობის გამგე ჯიბაშვილი და დიდი დროით ინახავს საწყობში უკონდიციო თესლს.

წესით აკრძალულია საწყობიდან თესლის ნაღდ ანგარიშზე გაყიდვა, მაგრამ ზოგჯერ ესეც ავიწყდებათ. ჩვენს ხელთ არის კანტორის მმართველის ერთი რეზოლუციის ტექსტი. „ამხ. ჯიბაშვილს. რადგან კლიენტებს სურთ შეიძინონ ნაღდ ანგარიშზე ლობიოს თესლი, მიეცით და გააფორმეთ მაღაზიის საშუალებით. გ. ჩეჩელაშვილი“ (ტექსტი დაცულია).

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია!

ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ — ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ

უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იყვნენ და მისაბაძ მაგალითს იძლეოდეს მეთესლეობის კოლმეურნეობები. მაგრამ ზოგჯერ ასე როდია. არის შემთხვევები, როცა მეთესლეობის კოლმეურნეობა არა მეთესლეობის სასოფლო-სამეურნეო არტელთან შედარებით ბოსტნეულ კულტურათა დაბალ მოსავალს იღებს. მოვიყვანოთ გარდაბნის რაიონის ორი მეზობელი კოლმეურნეობის მოსავლიანობის მაჩვენებლები. მოლოტოვის სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო: კიტრი — 60,7 ცენტნერით, პამიდორი — 37, ხახვი — 15,3, სუფრის ჭარხალი — 100 და საკვები ჭარხალი — 150 ცენტნერით ნაკლები, ვიდრე მეზობელმა კრუპსკაიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა.

რა არის მეთესლეობის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურების დაბალი მოსავლიანობის მიზეზი? ეს ბევრ თვალსაზრისს სუსტად არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობები, წარმოებაში დანერგილი არ არის ბოსტნეულის მოყვანის მოწინავე ხერხები. ამაში კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად კანტორის მუშაკებსაც მიუძღვით ბრალი.

კანტორის მუშაკების მხრივ თვალის ახვევასაც ვხვდებით. მაგალითად, შარშან კანტორამ საგარეჯოს რაიონის სოფლების სარეიტალისა და გიორგიწმინდის კოლმეურნეობებს გეგმის შესრულების მიზნით მთლიანად გამოართვა მათ მიერ მოყვანილი ლობიოს თესლი და ეს სასოფლო-სამეურნეო არტელები ფაქტიურად უთესლოდ დატოვა.

რა მდგომარეობაა მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საქმეში?

ერთი შეხედვით ამ მხრივ თითქოს ყველაფერი რიგზეა, რადგან სათესლეების დარგვის მიმდინარე წლის გეგმა საერთოდ გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ ეს მოხდა ცალკეული კულტურების ხარჯზე. მაგალითად, სტაფილოს, სუფრის ჭარხლის, ხახვის სათესლეების რგვის გეგმა არ შესრულებულა, ტურნეპსის დარგვის სამუშაოებისათვის კი ხელიც არ უხლია. არ არის მთლიანად შესრულებული აგრეთვე სუფრის ჭარხლის, საზამთროს, კოლბოსტოს, გოგრისა და სხვა ბოსტნეული კულტურების თესლის რეალიზაციის დავალებები.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ სასაწყობო მეურნეობის მდგომარეობაზე. კანტორის მთავარი სასაწყობო შენობა ელემენტარულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რაც ხელს უშლის მის ნორმალურ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ სისტემას დღემდე არა აქვს საკუთარი ნაგებობანი საწყობისა და სავაგრო ქსელისათვის, რესპუბლიკური კანტორის ხელმძღვანელები 5 წლის მანძილზე არ შეცდილან საქმიანად მოეკიდათ ხელი ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ალბათ ნაკლებ ანგარიშს უწევენ იმას, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში გადახარჯეს 21.600 მანეთის საიჯარო ქირა. ამ მდგომარეობას ურიგდებიან ბოსტანჯიმთესლის საკავშირო კანტორაშიც (მმართველი ამხ. გ. დალაქიანი), რომლის პასუხისმგებელ მუშაკებს ადგილზე ბევრჯერ უნახავთ სასაწყობო მეურნეობის მოშლილი მდგომარეობა.

ამხ. ჩეჩელაშვილს თავისი თავი „შეუცვლელ“ მუშაკად მიაჩნია. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე იგი ერთხელაც არ წასულა შვებულებაში იმ მოტივით, რომ მისი აქ არ ყოფნის დროს თითქოს თესლის დამზადებისა და რეალიზაციის გეგმები ჩაიშლებოდა. თუმცა მისი შვებულებაში წაუსვლელობით საქმე მაინც არ გაკეთდა.

კანტორის ზოგიერთი მუშაკი ყალბი სამივლინებო საბუთების წარდგენას არ ერიდება. შარშან ამხ. ჩეჩელაშვილმა ბუხჰალტერიაში წარადგინა სამივლინებო საბუთი, რომლის მიხედვით ვითომ იგი 18-დან 29 დეკემბრამდე თელავის, მცხეთის, ბოლნისისა და გორის რაიონებში იმყოფებოდა. ნამდვილად კი კანტორაში ინახება საბუთები, რომლებსაც ადევს გ. ჩეჩელაშვილის 25 და 28 დეკემბრით დათარიღებული რეზოლუციები. აქედან ნათელია, რომ ამ პერიოდში მმართველი თბილისში ყოფილა და არა რაიონებში. ეს პირველი შემთხვევა როდია. ამ საქმეში დოყლაპაობა გამოიჩინა მთავარმა ბუხჰალტერმა ა. კვატაშიძემ, რომელმაც ბრმად აუნაზღაურა მმართველს სამივლინებო თანხები.

რესპუბლიკური კანტორის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ს. ბაციკაძე) სუსტად მუშაობს. კომუნისტები რატომღაც ურიგდებიან კანტორაში არსებულ

საერთაშორისო მიმოხილვა

ცხოვრება იძლევა იმის სულ ახალ და ახალ დადასტურებას, რომ ჩვენი ქვეყანა უიღრეესად მშვიდობისმოყვარეა და დაუცხრომლად ზრუნავს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფისათვის. ამის მკაფიო მაჩვენებელია ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ამჟამინდელ რადიომაუწყებელი კომპანიის წარმომადგენლებთან. ამკამად ჩვენი სამშობლოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა აღინიშნა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრებით ფინეთში. აღნიშნავდა რა ამ მეგობრული ვიზიტის დიდ მნიშვნელობას, ფინეთის დედაქალაქის გაზეთი „კანსან უუტისეტი" წერდა: „განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმას, რომ მოღვაწეებს, რომლებიც აქტიურად ხელმძღვანელობენ საბჭოთა პოლიტიკას, შესაძლოდ მიაჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ საშინაო და საერთაშორისო საქმეებით არიან დატვირთულნი, მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ მეზობელი პატარა ქვეყნის ხალხთან. ეს ადასტურებს, რომ ჩვენი მეზობელი ფინეთს ეკიდება როგორც თანასწორუფლებიან ერს. ეს ნიშნავს, რომ ფინეთთან მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარება საბჭოთა კავშირში მიაჩნიათ მთელ მსოფლიოში, კერძოდ, ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვან პირობად".

საერთაშორისო პრაქტიკაში ეშვიათად შეხვდებით, რომ დიდი და პატარა ქვეყნის ურთიერთობა, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სხვადასხვაობისა, იყოს ისე თანასწორუფლებიანი და მეგობრული, როგორც საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის. უდავოა აგრეთვე, რომ ორივე ქვეყნის ასეთ ურთიერთობას საფუძვლად უდევს არა მარტო მათი ურთიერთდაინტერესება მჭიდრო თანამშრომლობით, არამედ აგრეთვე საერთო მისწრაფება უზრუნველყონ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

ომისშემდგომ წლებში ფინეთმა განვითარებინ სხვა გზა აირჩია, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც დანია და ნორვეგია არიან.

ფინელებმა უარყვეს ცალმხრივი ორიენტაცია დასავლეთზე, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებზე, და უარი თქვეს სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე. ისინი დადგნენ როგორც სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ისე დასავლეთის სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობის განვითარების გზას. განსაკუთრებით კეთილნაყოფიერი აღმოჩნდა ფინეთის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის სულისკვეთებით გამსჭვალულმა ამ ურთიერთობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფინეთის ეკონომიური პროგრესის უზრუნველყოფაში.

შედარებით მოკლე ვადაში ამ ქვეყანამ დამამჯერებელ სამეურნეო წარმატებებს მიაღწია. ამას აღიარებს დასავლეთის ბევრი გაზეთი, მათ შორის ლონდონის „ფაინენშლ ტაიმსი". გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ „ომისშემდგომი წლები ფინეთის ეკონომიკის უმაგალითო განვითარების პერიოდია". „ომამდე ნაციონალური პროდუქტის მატების ტემპი ამ ქვეყანაში, — წერს „ფაინენშლ ტაიმსი", — შეადგენდა დაახლოებით 3,5 პროცენტს წელიწადში, ხოლო საშუალო წლიური მატება 1948-1951 წლების განმავლობაში აღემატებოდა 6 პროცენტს. შემდგომ ხუთწლედში ეს ზრდა გრძელდებოდა". 1955 წელს ფინეთის ნაციონალური შემოსავალი 1951 წელთან შედარებით გადიდდა 144 მილიარდი მარკით. გასული წელი აღინიშნა ფინეთის ნაციონალური შემოსავლის ახალი ზრდით.

ფინეთის ეკონომიკის პროგრესი განუყრელად დაკავშირებულია ნეიტრალიტეტის პოლიტიკასთან, რომელსაც ფინეთი ახორციელებს, და საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის გაუმჯობესებასთან, უწინარეს ყოვლისა ვაჭრობის დარგში, რომელიც ხელს უწყობს მრეწველობის ყველა დარგის, მათ შორის ლითონდამუშავებისა და გემმშენებლობის ჰარმონიულ განვითარებას. ომამდე ეს დარგები ფინეთში უყურადღებით არ სარგებლობდა, რის შედეგად სახელმწიფო დიდად დამოკიდებული იყო უცხოეთზე. ახლა გემმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია განუწყვეტლივ იზრდება. ამავე დროს აღსანიშნავია ფინეთის ხეტყისდამმუშავებელი მრეწველობის სწრაფი განვითარება. ხსენებულმა „ფაინენშლ ტაიმსმა" გამოიანგარიშა, რომ 1954-დან 1956 წლამდე ფინეთის ცელულოზისა და ქაღალდის საწარმოთა სიმძლავრე გადიდდა 0,8 მილიონი ტონით. ეს მონაცემები, უნდა ითქვას, ამხილებენ ამ მტაცებლის უსაფუძვლობას, რომ ლითონდამუშავებელი მრეწველობის პროგრესი ფინეთში თითქოს მეორე პლანზე აყენებს სატყეო მრეწველობას. ფაქტები საწინააღმდეგოს მოწმობენ. ფინეთის მრეწველობის ყველა დარგის ჰარმონიული განვითარება ხელს უწყობს ამ ქვეყნის ეკონომიკის პროგრესს, მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ფაქტები და ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილი ურთიერთობა ფინეთის აყვავებისა და ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა. „ჰელსინკისა და მოსკოვის მეგობრობას, — სამართლიანად აღნიშნავს ფინური გაზეთი „მაანანსა", — ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფინეთისათვის, ისე ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებისათვის". ასე ფიქრობს, ეჭვი არ არის, მთელი ფინელი ხალხი, რომელიც იმკამად ეგებება საპატიო საბჭოთა სტუმრებს.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები სახელმწიფო მოღვაწეებთან და უბრალო ადამიანებთან ფინეთში მთელ მსოფლიოს უჩვენებენ ორივე ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის გულწრფელობას, რასაც ისინი ახორციელებენ ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენისაგან დამოუკიდებლად. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ახლანდელი მოგზაურობის შედეგად ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და კიდევ უფრო კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს საყოველთაო მშვიდობისა და ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობის განმტკიცებაზე.

* * *

სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან ვაჭრობის ემბარგო, ე. ი. აკრძალვა ნაწილია საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების პოლიტიკისა, რომელსაც იმპერიალისტური წრეები ახორციელებენ. ამერიკელ კორესპონდენტებთან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ის „რკინის ფარდა", რომელიც შეერთებულმა შტატებმა შექმნეს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში, „ამძაფრებს ატმოსფეროს, აუარესებს ურთიერთობას და ქმნის ნერვულობას მსოფლიოში, შესაძლებლობას აძლევს წონასწორობას მოკლებულ ადამიანებს სპეკულაცია გასწიონ ომით, იმუქრებოდნენ ომით".

პირიქით, ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა და ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ურთიერთგაგებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საიმედო გზაა.

დისკრიმინაცია სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მიმართ ვაჭრობის დარგში არის ბარაღი, რომელზეც ამყარებდნენ და ამყარებენ თავიანთ ვარაუდებს სამხედრო სპეკულანტები. ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოსთან შეერთებულმა შტატებმა შექმნეს სპეციალური ორგანოები, დააკისრეს რა მათ ამოცანად ემბარგოს პოლიტიკის განხორციელება. საქმე ეხება ეგრეთწოდებულ კოკომს — საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობისადმი კონტროლის კომიტეტს და ჩიკომს—ჩინეთთან ვაჭრობის შეზღუდვის კომიტეტს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა შედგინეს იმ საქონლის სიები, რომლის შეტანა სოციალისტურ ქვეყნებში აკრძალულია.

მაგრამ ემბარგოს დაეანგულმა ბარაღმა ახლა სერიოზულად უმტყუნა მათ. ინგლისის მთავრობამ, მიუხედავად შეერთებული შტატების ენერგიული წინააღმდეგობისა, გამოაცხადა, რომ სპობს ბევრ წინათარსებულ შეზღუდვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობაში. კარგმა მდგომარეობამ როდი აიძულა ინგლისის მთავრობა გადაედგა ეს ნაბიჯი. იგი აიძულა ინგლისის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ. სიტყვა წარმოთქვა რა 1 ივნისს კონსერვატორთა კრებაზე სტოკტონში, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა განაცხადა: „ჩვენ ასე ვიქცევით არა კომუნიზმის ან ჩინეთის კომუნისტური რეჟიმის სიყვარულით. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უნდა დავიცვათ კეთილგონიერება".

ინგლისის გადაწყვეტილებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებში. ამერიკის პრესის ბევრმა ორგანომ იგი შეაფასა როგორც მთლიანად ამერიკის პოლიტიკის სერიოზული დამარცხება. შეერთებული შტატების „დიპლომატიური მარცხი" უწოდა ინგლისის გადაწყვეტილების გავლენიანმა ამერიკელმა გამომცემელმა კოულზმა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, წერდა გაზეთი „ტრიბუნის საიენს მონიტორი", „წაადგეს ბრძოლა, რომელშიც მათ სურდათ ჩაებმოთ ვაჭრობა ჩინეთთან". შეერთებული შტატების იზოლაციაზე წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი", რომელიც ემბარგოს პოლიტიკის ჩაფუშვას უკავშირებს ამასწინანდელ ამბებს ტაივანზე.

ემბარგოს მომხრეებს განსაკუთრებით აწუხებს ის ფაქტი, რომ ინგლისის გადაწყვეტილება იწვევს „ჯაჭვურ რეაქციას" სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ინგლისის მაგალითს უკვე მიბაძა ნორვეგიამ. დანიის მთავრობამ გამოთქვა სურვილი დაიწყოს მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის გაფართოებისა შესახებ. „ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, — წერს დასავლეთგერმანული გაზეთი „დი ველტი", — ტაშს უკრავს ინგლისის ნაბიჯს და სურს იმოქმედოს ამ მაგალითისამებრ". იაპონიაში ბევრმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, აგრეთვე მეწარმეთა და კომერსანტთა ასოციაციებმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებშიც მთავრობისაგან მოითხოვენ მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი ჩინეთთან ვაჭრობის გაფართოების მიზნით. სოციალისტური პარტიის ლიდერმა სუჟუკიმ განაცხადა, რომ იაპონიამ რაც შეიძლება მალე უნდა დადოს სავაჭრო შეთანხმება ჩინეთთან.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არსებითად აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში არის უთანხმოება ემბარგოს პოლიტიკის გამო. პირადად მე, თქვა პრეზიდენტმა, ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვისაც საეჭვოდ მიაჩნია ჩინეთთან ვაჭრობაზე შეზღუდვების შენარჩუნების მიზანშეწონილობა, თუმცა არ მომითხოვია მათი გაუქმება.

ემბარგოს ჩაფუშვა ნათლად მოწმობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დისკრიმინაციის პოლიტიკა ეწინააღმდეგება ყველა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს.

ა. შახანოვი.

ფინეთის პრეზ. ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ფინეთში ყოფნის შესახებ

ჰელსინკი, 8 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მათი თანმხლები პირების ვიზიტი ფინეთში კვლავ ფინური პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები დაწვრილებით აღწერენ, თუ როგორ ჩაიარა ვიზიტის გუშინდელმა დღემ, ათავსებენ მრავალ ფოტოსურათს. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გუშინდელ საუბარს ფინეთის პრემიერ-მინისტრთან ვ. ა. სუქსელაინენთან და რესპუბლიკის პრეზიდენტის უ.-კ. კეკონენის მიწვევას ესტუმროს საბჭოთა კავშირს. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საუბარი მეგობრობისა და გულახდილობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

გაზეთმა „უუსი სუომმ" მოათავსა მოწინავე სტატია, მიძღვნილი უ.-კ. კეკონენისა და ნ. ა. ბულგანინის სიტყვებისადმი, რომლებიც გუშინ წარმოითქვა საღილზე რესპუბლიკის პრეზიდენტთან. კარგი მეზობლებისათვის ჩვეული მეგობრული და ნდობის კილო, წერს გაზეთი, გამეფებული იყო ამ სიტყვებში. თვითეულ მათგანში გამოხატული იყო კმაყოფილება ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის კეთილნაყოფიერი განვითარების გამო, რაც ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში იმის ნიშნად მიაჩნიათ, თუ როგორ შეიძლება შენდებოდეს თანხმობის პოლიტიკა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა შორის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, გაბედულ გაზეთი, პრეზიდენტის განცხადება, რომ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ახლანდელი კარგი მეზობლური ურთიერთობა სასარგებლოა არა მარტო ორივე ქვეყნისათვის, არამედ აგრეთვე თანხმობის საერთაშორისო პოლიტიკისათვის, კერძოდ ჩრდილოეთ ევროპაში.

აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა კავშირს ერთერთ თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია მშვიდობის უზრუნველყოფა ჩრდილოეთ ევროპაში და რომ ფინეთის ნეიტრალური პოლიტიკის მიზანია წინააღმდეგობის ლიკვიდაცია და ხალხთა დაახლოება, უწინარეს ყოვლისა დედამიწის ამ რაიონში, გაზეთი აცხადებს, რომ, როგორც გუშინ წარმოთქმული სიტყვებიდან ჩანს, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური მიზნები ჩრდილოეთ ევროპაში ერთმანეთს ემთხვევიან — ეს არის მისწრაფება უშიშროების განმტკიცებისადმი.

უცხოეთის დელეგაციები თბილისში

10 ივნისს სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია 11 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობს მშვიდობის სრულიად უნგრეთის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უნგრეთის პარლამენტის დეპუტატი ლასლო ნანაში.

ევროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ხორავა, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე უ. ჯაფარიძე, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი თ. ქვლივიძე, კომიტეტის წევრები ა. ვასაძე, ნ. კეცხოველი, ლ. სადრაძე, გ. ოლშანიკაია, რ. მარგიანი.

დელეგაციის წევრებს მიესალმა ა. ხორავა. სალამურ სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა ლასლო ნანაშმ გულითადი მადლობა გადაიხადა მეგობრული შეხვედრისათვის.

* * *

გუშინ, 10 ივნისს, საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ქალთა დელეგაცია ერმინა ბარფუსოვას მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირში სტუმრად არის ქალთა საბჭოთა კომიტეტის მოწვევით.

ჩეხოსლოვაკიის ქალთა წარმომგზავნილებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქის ქალთა წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის იყვნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. ქუთათელაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი თ. მრევლიშვილი და სხვები.

ჩამოსვლის დღეს დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ თბილისის ცხოვრებას. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო პიონერული ბანაკები. ადგილი ზღვის ოლიმპიზეს ადგილებში და სამხრეთ-ალიმპიტურ კურორტებზე მოწყობილია პროფკავშირთა 78 პიონერთა ბანაკი, რომლებშიც მშრომელთა 30 ათასზე მეტი ბავშვი დაისვენებს.

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა პიონერთა ბანაკები გახსნა ფოილა და ა ი ა (ბოლნისის რაიონი). აქ შექმნილია ბავშვთა დასვენებისა და ჯანმრთელობის ადგილების ყველა პირობა.

სურათზე: ალმის აღმართვა ფოილადურის ბანაკში.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპორტის ამბები

საერთაშორისო შეხვედრა

ლენინგრადი. 8 ივნისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ბრაზილიის კლუბის „ბაიას" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. შეჯიბრება ხასათდებოდა საინტერესო სპორტული ბრძოლით და დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი. 10 ივნისი. აქ შედგა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და კიშინიოვის „ბურევესტნიკის" გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3 : 3.

სსრ კავშირის თასზე

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ჩაებნენ „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები. ასეთი შეჯიბრება ამ დღეებში გაიმართა ლვოვში მოსკოვის „სპარტაკისა" და ლვოვის საოლქო სასპორტო კლუბის გუნდების მონაწილეობით. გაიმარჯვეს დედაქალაქის სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1. აწრიგად, მოსკოვის „სპარტაკმა", ლენინგრადის „ზენიტმა" და მოსკოვის „ლოკომოტივმა" „ბ" კლასის გუნდებთან ჩაატარეს თითო შეხვედრა და ამ მატჩების მოგებით მოიპოვეს თასისათვის ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება.

თბილისისა და ერევნის ფრენბურთელთა შეხვედრა

9 ივნისს კიროვის სახელობის პარკის სასპორტო მოედანზე გაიმართა თბილისელ და ერევნელ ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ანგარიშით 3 : 2 გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა. პირველი თამაში წინადღით აგრეთვე მოიგეს თბილისელმა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3 : 1.

(საქდესი).

საბჭოთა სპორტსმენები რუმინეთში

საბჭოთა სპორტსმენები, კერძოდ, უძლიერესი კალათბურთელები და ჩოგბურთელები სტუმრად იმყოფებიან რუმინეთში. აქ ისინი ჩაატარებენ რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრას. პირველი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა გამართეს ბუქარესტში 9 ივნისს. მათ წინააღმდეგ თამაშობდა რუმინეთის ვაჟთა ნაკრები გუნდი. გამმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 44:42.

საქართველოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

თბილისის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე.

გუნდურ ასპარეზობას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა თბილისის პირველი ნაკრები გუნდი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის მეორე ნაკრები კოლექტივი, მესამეზე — აჭარის გუნდი.

პირადი პირველობის გათამაშებაში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისელი ი. მურომცევი, რომელმაც 4.161 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა ა. პეტროვმა, მესამე — ა. კრაჟენენკომ.

«კომუნისტის» რედაქციას

გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამხანაგებს, მეგობრებს, მოწაფეებს, — ყველას ვინც გულწრფელად მოგილოცა დაბადების 70 წლისთავი და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი.

აკაკი შანიძე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1957-58 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: რენტგენო-რადიოლოგიაში —1, უროლოგიაში —1, ანესთეზიოლოგიაში —1.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არა უმეტეს 40 წლის ასაკისა. საკონკურსო მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ სპეციალობაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, საქმიანი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, მეცნიერული შრომები, მათი სია, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საგანში და ორი ფოტოსურათი.

გამოცდები იწარმოებს 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე შემდეგ დისციპლინებში: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, სპეციალური დისციპლინა, რუსული ენა და უცხო ენა.

განცხადება მიიღება 16 აგვისტომდე.

საბუთები მიიღება ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12, ტელეფონი 3-49-22).

დისერტაციის დაცვა

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (უნივერსიტეტის ქ. № 32)

1957 წლის 22 ივნისს დღის 12 საათზე № 2 აუდიტორიაში პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად არჩილ ესტატეს-ძე ჯაჩიბაია დაიცავს დისერტაციას თემაზე „ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების გამოყენება ქართველ სამოციანელთა ცხოვრებისა და შემოქმედების სწავლებისას X კლასში".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნოს ესაჭიროება შემდეგი პროფესიების კვალიფიციური მუშები:

ზეინკლები, მეთუნუქეები, დურგლები, გადამკვრელნი

ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: სტალინის სახელობის სანაპირო № 8, ტელეფონი №№ 3-68-04, 3-65-30.

„თბილმრეწვავჭრობამ" გახსნა საკომისიო მაღაზია (ალეხანოვის პროსპ. № 175). მაღაზია იღებს მოქალაქეთაგან საკომისიოდ — გასაყიდად ფართო მოხმარების და სალოგინო ნიეთებს, რომლებსაც შეკეთება და აღდგენა არ სჭირდება.

დირექცია.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — რიჩარდ მესამე, **გრიბოედოვის სახელობის** — დაგვიანებული სიყვარული, **ფილარმონია** — მექსიკური სიმღერების საღამო (საზაფხულო თეატრი, 9 ს.), ა. ჩიჯავაძის კონცერტი (კონსერვატორიის მცირე დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის — მოგზაურობა ახალგაზრდობაში, **ამირანი** (საზამთრო) — ილია მურომეცი, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კიროვის სახელობის პარკი** — ჩელკაში, გუნდის მომღერალი, „მდგმური", **ოქტომბერი** (საზამთრო) — ახალი მხატვრული ფილმი, **ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — ნაცნობობა, **ისანი** (საზაფხულო), **ვაკის პარკი** — სატანკო ბრიგადა, **თბილისი** — სასტუმროს შიგრიეკი, **კომკავშირელი** — მღერის ივ მონტანი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ბაში-აჩუკი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ტორეოკელი თერძი, **კოლხიდა** (საზამთრო) — განუმეორებელი გაზაფხული, **კოლხიდა** (საზაფხულო) — გული მღერის, **ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი**— მაძიებელნი, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, კოლმეურნე. დიდუბე** (საზაფხულო) — მალვა, **დიდუბე** (საზამთრო) — მე ვიტყვი სიმართლეს, **ყაზბეგი** — ბალერინას ბედი, **სპარტაკი, კომუნარების ბაღი** — ორნი ერთი უბნიდან.

ტელეგადაცემათა პროგრამა

11 ივნისისათვის

20.00 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „დემონი". მონაწილეობენ: პ. ამირანაშვილი, ა. მურადოვა, გ. შმალცელი, ვ. შაპოშნიკოვი და ი. ტრიბოლსკი. რეჟისორი — ჯემალ ანჯაფარიძე. 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი „ეკატერინე ვორონინა".

მოქალაქე ელენე ზოსიმეს ასულმა ყუფარაძემ, მცხოვრებმა კალანდაძის ქ. № 1-ა, აღძრა საქმე ბელინსკის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ სამსონის-ძე მესხთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე თეოდოტ, შვილები ნორა, ბეჟან, დედა ფატი, დები ეკატერინე, ნადია, ძმა გიორგი, სიძეები კ. ჩაკვეტაძე, გ. შარაშენიძე ოჯახებით იუწყებიან

დომნა ალექსანდრეს ასულ ხურციძე-ჯოგლიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VI, 5 ს. ქვედა ვანში (ვანის რ.).

მეუღლე ბაბილინე, შვილები ნინო, თამარ, ქეთო, ბარბარე, კიტა, თინა, დები ლუბა ლიზა, ნინუცა, ბაბუცა, ანიკო, რძლები ქსენია, ნინო, სიძეები ლ. გომართელი, მ. გველესიანი, კ. ჯაფარიძე, ი. მაისურაძე ოჯახებით იუწყებიან

ვახიკო გიორგის-ძე აბაშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VI სოფ. ჭალაში (საჩხერის რ.).

შვილი ლენა გოგუაძე, სიძე კ. ეგანოვი; ასია, ვართან ეგანოვები იუწყებიან

ალექსანდრე ირაკლის-ძე გოგუაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VI, 5 ს. მახარაძეში, გამოსვენება ბინიდან, ჯორჯიაშვილის ქ. № 10.

მეუღლე რუთია რამიშვილი, შვილები გიორგი, ოთარ კალანდაძეები, რძლები ლიუდმილა, თინა შვილებით იუწყებიან

ლეონტი ტიმოთეს-ძე კალანდაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-VI, 8 ს. გამოსვენება 13-VI, 6 ს. ჩხიკვაძის ქ. № 1 (ლენინის რ.).

მეუღლე მაგდან, და ელენე ბივაზიშვილი, ძმები ნიკოლოზ, ილია ოჯახებით იუწყებიან

კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე კავკასიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 11-VI, 5 1/2 ს. ბარნოვის შესახ. № 30.

მეუღლე სონია, შვილი გოგი, და დარიკო, რძლები ეთერ, პელო, ანიკო, მაშო ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ვლადიმერ ფირანის-ძე მურუსიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-VI, 8 ს. გამოსვენება 13-VI, 6 ს. ენგელსის ქ. № 40.

შვილები ვერა, შალვა, იაკობ, ლევან, რძლები ნუცა, ნინო, ელენე, ნინო შვილებით იუწყებიან

ლიდა იოსების ასულ ჩიქვინიძე-ბურჯანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VI სოფ. ობჩაში (მიიაკოვსკის რ.).

მეუღლე ნანო შალიბაშვილი, შვილები დოდო, ლია, მერაბ, ძმა კონდრატ ოჯახით იუწყებიან

ნიკოლოზ იაკობის-ძე ცალქალამანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-VI, 8 ს. გამოსვენება 13-VI, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 82.

ძმა ვიქტორ; გივი ოჯახით და თენგიზ კალანდარიშვილები იუწყებიან

ეპისტიმე ნიკოლოზის ასულ კალანდარიშვილი-ბაბილუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-VI, 8 ს. გამოსვენება 13-VI, 5 1/2 ს. გრიბოედოვის ქ. № 13.

მეუღლე თამარ, შვილები ქეთო, ეთერ, რუსუდან, სიძეები დ. ცქიტიშვილი, ა. კეკლაშვილი, გ. კიკნაძე შვილებით იუწყებიან

ალექსანდრე აფრასიონის-ძე ქავთარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VI, 5 ს. სოფ